საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კ. [illegible]
4 „ 15 „ [illegible]
სამგლოვიარო [illegible]
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 „ 1 მ. —

№ 623 შაბათი, ნოემბრის 17, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000


## ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია

ამით აცხადებს ყველა დაწესებულების და ორგანიზაციების საყურადღებოთ, რომ

**მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებზედ**

ხელის მოწერა დეკემბრის თვისათვის იწყება ამა ნოემბრის 20-დან და გრძელდება ნოემბრის 29-მდე, რის შემდეგ შეწყვეტილი იქნება ხელის მოწერის მიღება.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ექსპედიცია, წინდაწინვე აცხადებს რა ზემოთ აღნიშნულს, სთხოვს ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომ წინდაწინვე მოაწერონ ხელი დეკემბრისთვის, რადგან დანიშნულ ვადის შემდეგ ექსპედიცია ხელის მოწერას არ მიიღებს.

3—2 ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის გამგე: ა. ჩეჩელაშვილი.


## სახალხო განათლებისათვის

კომუნისტურ საქართველოში ისე, როგორც საერთოდ მთელ საბჭოთა ფედერაციაში, სწარმოებს ენერგიული მუშაობა მასსის უბნებში სწავლა-განათლების გასავრცელებლად. თუ წინეთ განათლება მისაწვდომი იყო მხოლოდ ამა ქვეყნის ძლიერთათვის, საზოგადოების ზედა წრეებისათვის, დღეს საბჭოთა ხელისუფლების წყალობით სწავლა-განათლება მასსიურ ხასიათს ატარებს. განათლების შუქი შეიჭრა თვით უღარიბეს გლეხ-კაცობის ქოხ-მახებში. ჩვენი გლეხობაც დიდის ინტერესით და ხალისით ეკიდება შრომის ნორჩი შვილების თანამედროვე წესზე აღზრდის საქმეს. ვინც დაახლოვებულია სოფელთან, სოფლის მიწის მუშების სულიერ განწყობილებასთან, ყეჭველად აღნუსხავს ჩვენი მშრომელი გლეხობის პროგრესიულ მისწრაფებას სწავლა-განათლების დარგში.

განათლების ორგანოებს არ სჭირდებათ და კვრითი წესების შემოღება განათლების საქმეში მშრომელი მასსის ჩაბმისათვის. საჭიროა მხოლოდ სათანადო პირობების მომზადება, წინასწარი მუშაობის სისრულეში მოყვანა, ღარიბ გლეხობის განკარგულებაში საჭირო საშუალებების მოქცევა—და საქმის ბრწყინვალედ დაბოლოვება უზრუნველყოფილია. ცხადია და ყოველ ეჭვს გარეშე, რომ სუბიექტიურად საბჭოთა ხელისუფლება მეტის მეტი სიმპატიითაა განწყობილი სახალხო განათლებისადმი. განათლების ფრონტის გაძლიერება, მასსიურ სწავლა-აღზრდის რეალურად განხორციელება ერთი უმთავრესი ლოზუნგთაგანია მუშურ-გლეხურ უმაღლეს ორგანოების.

სამწუხაროდ, ობიექტიური მდგომარეობა ძლიერ აფერხებს სახალხო სწავლა-განათლების ნორმალურ მიმდინარეობას. მთავარი სავალალო გარემოებაა თანამედროვე სოფლის ეკონომიური სიქესატე, ეკონომიური უილაჯობა. უარიბელი ნორჩი ძალები აწყდება შრომის სკოლებს. აბსოლიუტურად გაიზარდა მოწაფეთა საერთო რიცხვი მიმდინარე სამოსწავლო წელში. ყოველი გლეხი, ყოველი მუშა სცდილობს აღზარდოს შვილი საბჭოთა მთავრობის ყაიდაზე. მაგრამ გლეხ-კაცობა მოკლებულია საამისო საშუალებებს. ასეთია სოფლის მოწაფეთა სურათი: არ აცვიათ ფეხზე, არ აცვიათ რიგიანად ტანზე, თავზე ხომ იშვიათად ჰხურიათ. დღემდე შეიძლებოდა ასეთი მდგომარეობის შენარჩუნება-გააგრძელება. არ იყო სუსხიანი დარები, ზამთრის სიცივეები. მაგრამ დღეიდან კი ყოვლად შეუძლებელია არსებულ ვითარების წინააღმდეგ ზომების მიუღებლობა.

ეკონომიური აღორძინება მძლავრი, გადამჭრელი ფაქტორია კულტურულ აღორძინების. ქვეყანა, ჩამორჩენილი ეკონომიურად, ჩამორჩენილია კულტურულადაც. ეკონომიურ-ფინანსიურად დაუძლურებული სოფელი ვერ ახერხებს კულტურულ განვითარებისაკენ სათანადო ნაბიჯის გადადგმას. გლეხი ვერ ყიდულობს წიგნს, კალამს, საერთოდ—პირველსაჭიროების სასწავლო ნივთებს მოსწავლესათვის. ყოველდღიური მასიური მოვლენაა სოფლად შრომის სკოლიდან მოწაფეების დროებითი დათხოვნა, წიგნების შესაძენად. მოწაფე, რა თქმა უნდა ვერ იძენს საჭირო სახელმძღვანელოებს და იძულებულია შკოლას თავი დაანებოს. საჭიროა ამ მდგომარეობას მიექცეს სათანადო ყურადღება. საჭიროა მშრომელი, ღარიბი გლეხ-კაცობის სწავლას მოწყურებული ახალგაზრდების უზრუნველყოფა სასწავლო ნივთებით.

მაგრამ უფრო სავალალო სურათს ქმნის მეორე გარემოება. ზამთარი განადგურებით ემუქრება განათლების საქმეს. ფეხშიშველა მოწაფეები ვერ გაუძლებენ ყინულ-თოვლს და იძულებული გახდებიან მთელი ზამთრის განმავლობაში იჩხირკიდელაონ მშობლიურ კერასთან.

საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია ერთად ერთი ორგანიზაციული ძალაა, რომელსაც დასახული აქვს მიზნად მშრომელ მასსის ფენებში განათლების ჩირაღდნების შენათება. უეჭველია, დღეს სახალხო განათლების დარგში მეტად დიდი და საგულისხმო საქმეები კეთდება. მხოლოდ საჭიროა თანამედროვე სოფლის ეკონომიურ სიქესატის დროს მეტი ყურადღება მიექცეს სოფლად გამეფებულ სასწავლო ნივთების კრიზისს და უღარიბეს გლეხთა შვილების უზრუნველყოფა პირველ საჭიროების საგნებით. ქალაქის მუშებმა ხელი მოკიდეს კულტურულ შეფობას სოფლის მუშებზე. სწორედ ახლა მოითხოვს საჭიროება შეფობის გაღრმავება-განვითარების, ახლაა საჭირო ქალაქის მადლიანი მუშების კულტურულ ეკონომიური დახმარება სოფლივ პროლეტარიატისათვის.

საერთაშორისო ბურჟუაზია არ გვაძლევს შინაურ ეკონომიურ-კულტურულ აღმშენებლობას თავისუფლებას. კაპიტალისტურ რკალით ვართ გარშემორტყმული. გაირღვევა ეს რკალი და ჩვენც შეუდგებით თავისუფალ ცხოვრებას, როდესაც ყოველი გროში საკუთარ საჭიროებას, საკუთარ ტკივილების მორჩენას მოხმარდება.

მეტი ყურადღება სოფლად კულტურულ საქმიანობას. ასეთია მომენტის კარნახი.

## გეგმითი მეურნეობისათვის

მხედრო კომუნიზმის ეპოქის გაქრობამ და ახალი ეკონომიურ პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელებამ საბჭოთა რესპუბლიკების სახალხო ეურნეობის ახალი ამოცანები დაუსახა მეურნეობისა და მრეწველობის აღდგენის და განვითარების მიზნით. სამხედრო კომუნიზმმა მოსპო ინდივიდუალური სამეურნეო ერთეულები და მთლიან ორგანოებში გააერთიანა მთელი მეურნეობა. სამოქალაქო ომის პროცესში სახალხო მეურნეობის მთლიანი აპარატი, რომელიც გეგმითი დასაწყისზე იყო აგებული შეგუებული და გამოყენებული იქნა სამოქალაქო ომისთვის რესურსების მისაწვდენად და რამოდენიმედ შინაურ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ისეთ დროს, როდესაც უდიდესი ნაწილი სამრეწველო პროლეტარიატისა წარმოუდგენელი გაჭირვებისა და დაბრკოლებაში იარაღით ხელში იცავდა ძალა-უფლებას, ხოლო შინ კი სანახევროდ განადგურებულ მრეწველობისათვის არც ნედლი მასალა მოიპოვებოდა და არც შესაფერი რესურსები,—ცხადია, გეგმითი დასაწყისი მეურნეობისა სრულებითაც არ იყო საკმაო პირობა მეურნეობის განვითარებისა და გამაგრებისათვის.

სამოქალაქო ომის ლიკვიდაციამ და ახალი ეკონომიურ პოლიტიკის განხორციელებამ ხელსაყრელი საფუძველი მოუნახა ჩვენს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის. რამდენადაც ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში სახელმწიფო არა მარტო მესაკუთრე არის, არამედ სამეურნეო საქმიანობასაც ეწევა მრეწველობისა და ტრანსპორტის უმნიშვნელოვანეს დარგებში,—ამდენად გეგმითი დასაწყისი მეურნეობისა წინანდელი ხასიათისავე რჩება, მხოლოდ ძირითადად განსხვავებულია მუშაობის მეთოდების მხრივ.

სახელმწიფოს გაბატონებული როლი, როგორც მესაკუთრისა და მეურნის, აუცილებელს ხდის სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას სამეურნეო ცხოვრებაში. ეს მონაწილეობა იმ დანიშნულებაში გამოისახება, რომლითაც სახელმწიფო მთლიან საფუძველზე ამყარებს სამეურნეო ორგანოების მუშაობას და ერთ მიზანშეწონილ გეგმის უქვემდებარებს მათ.

გეგმითი მეურნეობის წარმოება და გამომუშავება, როგორც ეს კომპარტიის მე-12 ყრილობის რეზოლიუციამ აღნიშნა, არ შეიძლება წინასწარ, პარორული გზით მოხდეს, თეორეტიული ან ბიუროკრატიული ზომების საშუალებით. ჭეშმარიტი სოციალისტური სამეურნეო გეგმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გამომუშავებულ იქნეს, თუ მას წინ უსწრებს ხანგრძლივი მოსამზადებელი სამეურნეო პერიოდი, როდესაც სხვა და სხვა სამეურნეო დარგთა შეთანხმებული მუშაობისკენ მიმართული პრაქტიკული ღონისძიებანი და შედეგების მიზანშეწონილი გათვალისწინება შესაძლებელს გახდის მეურნეობის მთლიანი სისტემის გამომუშავებას. ყოველივე, ამიტომ, უახლესი პერიოდის უმთავრესად მოსამზადებელი ხანაა, როდესაც წინასწარ თავზე მოხვეული ფორმულა უკუგდებული არის და უმთავრესი მნიშვნელობა ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანოების სახალხო მეურნეობის სხვა და სხვა მოვლენებთან შეგუებასა და შეთანხმებას ეძლევა.

მაგრამ გეგმითი დასაწყისი ჯერ კიდევ იმის არ ნიშნავს, თითქოს ცალკე წარმოებისა და სამეურნეო დარგებს სავსებით წაერთვას სამეურნეო თავისუფლება და ადმინისტრატიული ზომებით გზა გადასჭრას მათ განვითარების; ეს თავისუფლება მათ უეჭველად რჩებათ სამეურნეო საქმიანობაში, მაგრამ რამდენადაც ისინი სახელმწიფოს სამეურნეო ორგანოებს წარმოადგენენ და სახელმწიფო მათი საშუალებით არის ჩაბმული წარმოებასა და ბაზარზე, ამდენად მათი თავისუფლება შეკვეცილი რჩება და იქ, სადაც ცალკე დარგების ორიენტაცია საკმაო გარანტიას ვერ ქმნის მიზანშეწონილ მოქმედებისათვის, აქ უმაღლესი სამეურნეო ორგანო გამოდის თავისი გაფართოვებული პერსპექტივებით. ამიტომ გეგმითი მეურნეობის სფერო არა მარტო მეურნეობის ცალკე დარგებს შეიცავს, არამედ მთელი მრეწველობაზედა ვრცელდება და ამასთან მასვე ემორჩილება ფინანსები, ტრანსპორტი და ვაჭრობა.

როგორი აპარატი არის საჭირო ცენტრალურ სამეურნეო ორგანოს შესაქმნელად და რა ამოცანები აქვს მას შესასრულებელი? ჩვენი უმაღლესი სამეურნეო ორგანო ს. მ. უ. საბჭო ამ საქმისათვის გამოუსადეგარი არის; ის მხოლოდ მრეწველობის ცენტრს წარმოადგენს, ხოლო გეგმითი დასაწყისისათვის კი საჭირო არის ისეთი ორგანო, რომელიც მასზე მაღლა იქნება და მრეწველობას, ტრანსპორტს, ფინანსებს, სასოფლო მეურნეობას, ვაჭრობას და სხ. ერთმანეთს დაუკავშირებს. რუსეთის პრაქტიკამ ასეთ ორგანოდ „გოსპლანი“ აღიარა. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი ორგანოს დაარსება ჩვენში ამიერ-კავკასიის მაშტაბით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სახალხო მეურნეობისათვის. ჩვენში დაწყებული სამეურნეო აღმშენებლობის პროცესის განვითარებამ შეუძლებელია ნაყოფიერად იწარმოოს, თუ ასეთი გამაერთიანებელი, გეგმის მიმცემი და ხელმძღვანელი აპარატი არ შეიქმნა, განცალკევებულ ორგანიზაციებზე მაღლა მდგარი.

რა ძირითადი ამოცანა ექნება მას შესასრულებელი სახალხო მეურნეობის მიმართ? ზემოხსენებული რეზოლიუცია ნათლად აყალიბებს ამ ამოცანებს: „უნდა დამყარებულ იქნეს, როგორც გარდაუვალი დასაწყისი, რომ არც ერთი საერთო—სახელმწიფოებრივი სამეურნეო საკითხი არ ტარდება რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოებში სახელმწიფო გეგმის გარეშე. ამ უკანასკნელმა, მიუხედავად იმისა, ინიციატივა თვით მისგან გამოდის, თუ რომელიმე სხვა უწყებიდან, ან ლიზი უნდა გაუკეთოს ახალ საკითხს, პროექტს თუ წინადადებას მთელ დანარჩენ სამეურნეო მუშაობასთან დაკავშირებით, და ამით გამოარკვია—მათი შედარებითი წონა და მნიშვნელობა. აუცილებელია გადაჭრით უარყოფილ იქნეს —როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ,— უწყებისა და დაწესებულებათა ცდები მიღებულ იქნეს რაიმე გადაწყვეტილება შემოვლილი გზით, საჩქარო წესით, გადაუდებლობით, იმპროვიზაციით, განიხილება რა ასეთი ცდები, როგორც სამეურნეო წინდაუხედაობის მოვლენები და როგორც მეტად მავნე ნაშთები ადმინისტრატიულ პარტიზანობისა“.

ამრიგად, სახელმწიფოებრივი გეგმითი ორგანოს ძირითადი ამოცანა საერთო—სამეურნეო გეგმის გამომუშავებაში მდგომარეობს. ადგილობრივი პირობები სახალხო მეურნეობის მეტად საგრძნობლად ქმნიან ასეთი ორგანოს დაარსების საჭიროებას. ჩვენს სამეურნეო ორგანოებს, მრეწველობის ცალკე დარგებს და დაწესებულებებს, მათი გამოუცდელობის, ახალ საფუძველზე შექმნისა და რთული აპარატის გამო, კიდევ უფრო მეტად ესაჭიროებათ ხელმძღვანელი ორგანო, ვიდრე ეს რუსეთთან მეურნეობაში არის, ამას გარდა ჩვენში საფუძველი ეყრება წარმოების ახალ დარგებს, რომელთა საჭიროება და განვითარების შესაძლებლობა მთელ მეურნეობასთან დაკავშირებით შეიძლება გაირკვეს. სახელმწიფოებრივი გეგმითმა მეურნეობამ ერთ მართველ ხელში უნდა გაერთიანოს მეურნეობის ავტონომიური დარგები.

ი.—ე.

## ჩვენი-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები 16 ნოემბრიდან).

— ბელგია მოითხოვს კრონპრინცის გაძევებას

— გერმანეთში მზადდება მთავრობის კრიზისი.

— დირექტორიის დაარსების გეგმა ჩაიშალა.

— სექტი გამოდის საკანონმდებლო უფლების წარმომადგენლად

— მენშევიკები კვლავ ოცნებობენ კოალიციაზედ.

— პროფკავშირთა გაერთიანება ჩაერია მბეჭდავთა გაფიცვაში.

— მენშევიკი რიხტერი შტრეიკბეხერობის ორგანიზატორის როლში გამოდის

— გერმანეთში მუშათა მდგომარეობა უარესდება.

ვიურტემბერგში დაიჭირეს 187 კომუნისტი.

— დიუსელდორეში სიმშილობის ნიადაგზედ ხდება არეულობა

— კარი არ სცნობს სექტის ძალა-უფლებას.

— ერხარდტის ბრიგადა კარას მხარეზე გადავიდა.

— კომინტერნის და პროფინტერნის მოწოდება.

## გერმანეთის ამბები

**კრუპპის წარმოებათა დირექტორების განთავისუფლება.**

ფრანგებმა განთავისუფლეს კრუპპის წარმოებათა ყველა დატუსაღებული დირექტორები. განთავისუფლებულნი უკვე შეუდგნენ თავის მუშაობის გაგრძელებას.

**ორი მეგობარი**

„ვისბადენერ ლოკან ანცეიგერ“ იუწყება, რომ ერხარდტმა თავისი თავი გადასცა კარას განკარგულებაში, ხოლო მოითხოვს აჯანყების მონაწილეთა ამნისტიას და ნებართვას, რათა ნაციონალისტთა კავშირები ხელმეორედ გაერთიანდნენ ახალი სარდლობის ქვეშ.

**ბელგია მოითხოვს კრონპრინცის გადასახლებას.**

„ეკსჩეიდ ტელეგრაფი“ იუწყება, რომ ბელგიის მთავრობამ დაადგინა მოსთხოვოს გერმანეთის მთავრობას კრონპრინცის გადასახლება გერმანეთის საზღვრებიდან რომელიმე ნეიტრალურ სახელმწიფოში.

**შეტაკება ფაშისტ—სტუდენტებთან.**

მიუნხენში რეიხსვერს შეტაკება მოუხდა სტუდენტებთან, რომლის დროსაც მძიმედ დაიჭრა ცნობილი პროფესორი ზაუსბრუხი.

**კაპიტალისტები ეხმარებიან მონარქისტულ შეთქმულებას.**

ლონდონის გაზეთ „ენტრა ნეიჟანს“ აუწყებს ბერლინის კორესპონდენტი, ვითომც ამერიკის, ინგლისის და ჰოლანდიის ბანკირთა ჯგუფს განზრახვა აქვს ფინანსიური დახმარება გაუწიოს პოტსდამში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას, იმ მიზნით, რომ ძალა-უფლება ხელში ჩაიგდოს კრონპრინცმა. კორესპონდენტის განცხადებით, კრონპრინცის აგენტებმა უკვე უზრუნველჰყვეს თავისთვის რეიხსვერის ძლიერი დახმარება. კრონპრინცი თვითონ ჩაუდგება სათავეში ქვეითა დივიზიას ბერლინზედ გასალაშქრებლად; ამასთანავე, ვითომც, კრონპრინცი დაარწმუნეს, რომ რეიხსვერის არც ერთი დივიზია არ წავა მის წინააღმდეგ. საფრანგეთის ცნობებით, გერმანეთის ქარხნები სასწრაფოდ ამზადებენ სამხედრო იარაღებს.

**მთავრობის კრიზისის მწვავე პერიოდი**

მთავრობის კრიზისი მწვავე პერიოდში შედის. სოც. დემ. მოითხოვს რეიხსტაგის მოწვევას, რასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხანია თხოულობდნენ კომუნისტები და ნაციონალისტები. შტრეზემანს ეშინიან, რომ რეიხსტაგში იგი ველარ მიიღებს უმრავლესობას და ამიტომ ყოველ ღონისძიებას ხმარობს რეიხსტაგის მოწვევის ვადის გასაჭიანურებლად. საბუთებს ამას იმით, რომ რეიხსტაგმა აუცილებლად უნდა განიხილოს მიუნხენის ამბები, ხოლო ამას კი შეუძლიან გამოიწვიოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გართულება.

**დირექტორიის დაარსების გეგმა ჩაიშალა.**

საკითხი, რომ ებერტს მიეცა შტრეზემანისათვის უფლება დაეშალნა რეიხსტაგი და აგრეთვე დირექტორიის დაარსების პლანი, რომელშიაც შევიდოდნენ შტრეზემანი, ებერტი, და სექტი, მოიხსნა ებერტის მიერ გენ. სექტის უფლებების გაფართოების შემდეგ. შტრეზემანი მეორე ხარისხოვან როლს თამაშობს.

**სექტას პირველი გამოსვლა**

სამშაბათს გენ. სექტმა გამოაქვეყნა განკარგულება, რომლითაც ცალკე გერმანეთის სახელმწიფოებს და აგრეთვე თემებს უფლება ეძლევათ დამოუკიდებლად დაამზადონ სურსათი და დამოუკიდებლად გამოსცენ უზრუნველყოფილი დროებითი ფულის ნიშნები, რომლებსაც მსვლელობა ექნებათ გერმანეთის ვალიუტის თანახმად-

ეს პირველი გამოსვლაა სექტისა, როგორც საკანონმდებლო უფლების წარმომადგენელისა.

**მენშევიკები კიდევ ოცნებობენ კოალიციაზედ.**

სოც.-დემ. ისევ აქვთ იმედი პარლამენტის უმრავლესობაზედ დამყარებულ და ცენტრისა, დემოკრატებისა და სოც.-დემოკრატებისაგან შემდგარ მცირე კოალიციის შედგენისა. ამ კოალიციის სათავეში უნდგა იდგეს ვირტი.

სოც. დემ. ჯგუფი, კრისპინის მეთაურობით, წინააღმდეგია ბურჟუაზიასთან კოალიციისა და ტაქტიკურად უფრო სასარგებლოდ სთვლის დარჩეს ოპოზიციაში.

„ფორვერსტი“, იხილავს რა ახალ არჩევნების შესაძლებლობას, აღნიშნავს, რომ სოც. დემ. საარჩევნო კომპანიას ჩაატარებს ლოზუნგით: „რეაქციის წინააღმდეგ, რომელსაც სახელმწიფო დაღუპვისაკენ მიჰყავს, უნარ მოკლებულ და შიგნით დაქსაქსულ საშუალო პარტიების წინააღმდეგ.

**ებერტმა და სექტმა დაჩრდილეს შტრეზემანი.**

გერმანეთში ეხლა მთავარი პირები არიან ებერტი და გენ. სექტი. შტრეზემანის გადადგომის შესაძლებლობის გამო, აღნიშნავენ, რომ მისი მოადგილე არ იზიარებს შტრეზემანისა და იარჩესის (შინაგან საქმეთა მინისტრი—ნაციონალისტების თანაგრძნობი) პოლიტიკას რეინის საკითხში, მაგრამ ეხლა ველარც ეს შესცვლის მდგომარეობას, რადგანაც გერმანეთის მთავრობას არ შეუძლიან აძლიოს 2-ხან. მილ. უმუშევრებს, ნახ. მილ. კიდევ ოკუპაცია ქმნილ ოლქების და შემცირებულ წარმოებაში ჩაბმულ მუშებს.

**მამასახლისთა კომისიის თათბირი**

რეიხსტაგის თავმჯდომარემ 16 ნოემბრისათვის მოიწვია მამასახლი-თა კომისიის თათბირი. ამის გამო მოსალოდნელია რეიხსტაგის მოწვევა 20 ნოემბრისათვის.

**დოლარის კურსი.**

დოლარის ოფიციალური კურსი დაწესებულია 2 ტრილიონი და 520 მილიარდი მარკა.

**წისქვილების მუშათა გაფიცვა**

ბერლინში გაიფიცნენ ყველა წისქვილების მუშები, ხელფასის შესახებ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის გამო.

**უცხოეთის ჟურნალისტთა პროტესტი.**

უცხოეთის ბეჭდვითი საქმის წარმომადგენელთა კავშირმა მოიწვია არა ჩვეულებრივი საერთო კრება, რომელზედაც გამოიტანეს საპროტესტო რეზოლიუცია უცხოეთის პრესაზე სამხედრო ცენზურის შემოღებისა და იმ ზომების გამო, რომელიც მუშავდება უცხოეთის ჟურნალისტთა მიმართ.

**ხალხისა და ქვეყნის ხსნა პროლეტარიატის დიქტატურაშია.**

14 ნოემბერს პოლიციამ დაიჭირა და დაბეჭდა „როტეფანეს“ სტამბა არა ლეგალურ კომუნისტურ გაზეთის დაბეჭდვისათვის.

ახლად გამოსული კომუნისტური გაზეთი „არბეიტერ ცეიტუნგი“ აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ რურისა და რეინის ოლქებისათვის ფინანსიური დახმარების შეწყვეტა ჰნიშნავს გერმანეთის პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილის, 6 მილ. სულისათვის სიკვდილის მისჯას. „ბურჟუაზია, სწერს გაზეთი, სცდილობს პროვოკაციით გამოიწვიოს იმედ დაკარგულ მუშათა გამოსვლა, რათა სრულიად ჩააქროს მუშათა მოძრაობა, საფრანგეთის ხიშტებას დახმარებით.

სტინესისა, ვოლფას და გაგენის „ლეგალური სეპარატიზმის“ გამარჯვება სხვილი მრეწველობის გამარჯვებას ჰნიშნავს. კომპარტია, რომელიც იცავს პროლეტარიატის მთლიანობას, ერთნაირად შეებრძოლება, როგორც საფრანგეთის იმპერიალიზმსა, ისე სეპარატიზმს. გერმანეთის ხალხისა და ქვეყნის ხსნა მხოლოდ პროლეტარულ დიქტატურაშია“.

**იციან რომ თავზე ხელს არ გადაუსვამენ**

სრულიად გერმანეთის პროფკავშირთა გაერთიანება წინააღმდეგია, მდგომარეობის განხილვის მიზნით, განზრახულ პროფკავშირთა აღმასკომების მოწვევისა ვეიმარში, რადგანაც ფიქრობს, რომ ყრილობას შეიძლება მოყვეს განხეთქილება.

**მენშევიკი შტრეიკბეხერობის ორგანიზატორი**

მბეჭდავთა გაფიცვა ბერლინში გრძელდება. სახელმწიფო ქაღალდების დასამზადებლად ექსპედიციაში მუშაობს ბერლინის პოლიციის პრეზიდენტის, სოც. დემ. რიხტერის მიერ გამოგზავნილი „ტეხნიკური დახმარება“.

**მუშათა მდგომარეობა უარესდება.**

საქონელზე ფასი წესდება უცხოეთის ბირჟის ტრიალით ბერლინის კურსთან შედარებით სამჯერ უფრო მაღალი, მუშათა მოსამსახურეთა ხელფასს აქამდის არ ანგარიშობენ ოქროს კურსით, რაც უფრო აუარესებს მათ მდგომარეობას.

**კომუნისტების დაჭერით კომუნიზმი ვერ მოკვდება**

ვიურტემბერგში რეიხსვერისა და პოლიციის პიერ დაპატიმრებულია 187 კომუნისტი. შვენინგენში პოლიციასთან შეტაკების დროს მოკლულია 2 მუშა და ბევრი დაჭრილი. დაპატიმრებულია 19 კომუნისტი.

**სცნობს და არა სცნობს.**

რეინის ოლქის გამოყოფის გამო, მთავრობის ცნობაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მთავრობა რეინის ოლქში სცნობს მხოლოდ კონსტიტუციაზედ დაფუძნებულ ცვლილებებს, ხოლო არა სცნობს კონსტიტუციასთან შეუთანხმებელ რეინის რესპუბლიკის გამოცხადებას.

**სიმშილის არეულობა დიუსელდორფში.**

დიუსელდორფში უმუშევრებმა უარი სთქვეს დახმარების მიღებაზედ, გამოაცხადეს სიმშილის „ბუნტი“ და მოითხოვენ დახმარებას ბერლინის მარკის კურსით მიცემას. ხდები დემონსტრაციები, როდესაც უმუშევრები შეეცადნენ სავაჭროების დარბევას, პოლიციამ დაუწყო მათ სროლა. მოკლულია ერთი, დაჭრილია ბევრი.

**ლოკაუტი.**

. ოკუპაცია ქმნილ ოლქების მაღაროების პატრონებმა მუშა-მოსამსახურეთ გამოუცხადა, რომ 15 ნოემბრიდან.

**უთანხმოება საკონტრიბუციო კომისიის წევრთა შორის**

საკონტრიბუციო კომისიის სხდომაზე ინგლისის წარმომადგენელი ბარტუს წინადადებას, მოუსმინეს გერმანეთის წარმომადგენელის 24 ოქტომბრის ნოტაში აღძრულ საკითხების შესახებ. ბარტუს წინადადებაზე, გამოეყოთ ექსპერტთა კომისია განსაზღვრული ფუნქციებით, ბრადბერმა განაცხადა, რომ იგი საბოლოო აასუხს ამის შესახებ მისცემს გერმანეთის წარმომადგენლების მოხსენებათა მოსმენის შემდეგ.

---

# უცხოეთი

**მთავრობის მოპყრობა გაფიცულთადმი.**

**ვარშავა.** პროფკავშირთა ცეკა ყოველ დღე ღებულობს ცნობებს იმ ახალი რეპრესიების შესახებ, რომლებსაც მიჰმართავს მთავრობა საერთო გაფიცვაში მონაწილე მუშების მიმართ. ვლოცლავსკში, მაგალითად, დათხოვნილი არიან ქალაქის შენობებზედ მომუშავე ყველა აღმშენებელი მუშები. პროფკავშირთა ცეკას ხვალინდელი სხდომა განიხილავს ამ საკითხს.

**პოლიციის „დამშვიდების“ მსხვერპლთა დასაფლავება.**

**ვარშავა.** კვირას, ტარნოვოში დაასაფლავეს 5 მუშა, რომლებიც დახოცნენ პოლიციასთან შეტაკებაში უკანასკნელ ვაფიცვის დროს. მეზობელ ქალაქებიდან დასაფლავებას დაესწრო უამრავი დელეგაცია. სამღვდელოებამ უარი სთქვა მიეღო დასაფლავებაში მონაწილეობა, თუ არ წაიღებდნენ წითელ დროშებს, რაზედაც მუშები არ დასთანხმდნენ.

**„პეპეესის“ შეკითხვა კრაკოვის ამბების გამო.**

**ვარშავა.** სეიმის გუშინდელ სხდომას, რომელზედაც განიხილეს „პეპეესის“ შეკითხვა კრაკოვის ამბების გამო, მეტად მღელვარე ხასიათი ჰქონდა.

შინაგან საქმეთა მინისტრს, კორნიკს დიდი ხმაურობა აუტეხეს მემარცხენეებმა. პიუპიტრების რახუნის გამო, მინისტრმა თავისი სიტყვა უკარნახა სტენოგრაფისტს ისე, რომ სიტყვისა არავის არაფერი გაუგია.

მემარცხენეებმა მინისტრს უყვირეს: „ძალლო“ „კაენო“ „ჯაშუშო“.

პეპეესელი [illegible] და ბურჟუაზიას, რომელმაც იძულებული ჰყო მუშები წასულიყვნენ რევოლიუციისაკენ.

რამინსკის მოპასუხე მემარჯვენე დეპუტატმა სტრონსკიმ დიდხანს ილაპარაკა მართლმსაჯულების ამოცანებზედ კრაკოვის ამბებში. ეტყობა, მემარჯვენენი გენერალურ გამკლავებას აპირებენ მუშებთან.

ტრიბუნაზე გამოსულ, კრაკოვის ამბების მონაწილე, პეპეესოველ მარეკას მემარჯვენენი პიუპიტრების რახუნით შეჰხვდნენ და არ აძლევდენ ლაპარაკის საშუალებას.

**უდიენებისა და პოლიციის უწესოება განაპირა ადგილებში**

**ვარშავი.** პოლონეთის განაპირა ადგილებში პოლიციასთან ერთად დათარეშობენ სამხედრო ნაწილები, რომლებმაც გაავსეს დაბა-სოფლები, განსაკუთრებით ერჩევა სხვებისაგან მე26 ულანთა პოლკი, რომელიც განაპირა ადგილებში ისე იქცევა, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში.

პოლიციისა და ულახების უამრავმა უწესოებამ ბელორუსიის სეიმის კლუბს საბაბი მისცა შეეტანა სეიმში შეკითხვა.

ბელორუსიის დეპუტატები მოითხოვენ დაარსდეს კომისია, ბელორუსების კლუბის მონაწილეობით, პოლონეთის ადმინისტრაციის მიერ განაპირა ადგილებში ჩადენილ უწესოების გამოსაძიებლად.

**აღკრძალვა სპარსეთის ქვეშევრდომთ**

**თეირანი.** პრემიერის მიერ გამოქვეყნებული მთავრობის დეკლარაცია სპარსეთის ყველა ქვეშევრდომთ უკრძალავს უცხოეთის მისიებში სიარულს და მათთან ურთიერთობის დაჭერას. წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრება სასჯელად, როგორც სახელმწიფოებრივ ღალატისათვის.

**უცხოეთის სპეცების მოწვევა**

**ანგორა.** (ოსმალეთი) ოსმალეთის ეკონომიის კომისარმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილია მოიწვიონ ბევრი უცხოეთის სპეციალისტი-ეკონომისტები.

**შვეიცარიის ფინანსისტები სესხს აძლევენ ოსმალეთს**

**ანგორა.** შვეიცარიის ფინანსისტები წინადადებას აძლევენ ოსმალეთს, მისცენ სესხი ანატოლია ბაღდადის რკინის გზის გამოსასყიდად.

**ახალი არჩევნების წინ**

**ლონდონი.** 13 ნოემბერს გაიხსნა პარლამენტი. პრემიერმა ბალდვინმა გამოაცხადა, რომ პარლამენტი დათხოვნილი 16 ნოემბრამდე, ახალი კანდიდატების წარდგენის უკანასკნელი ვადა 26 ნოემბერია. არჩევნები მოჰხდება 6 დეკემბერს. ახალი პარლამენტი მოწვეული იქნება 19 დეკემბერს. პრემიერის განცხადებას დეპუტატები მოწონებით შეჰხვდნენ.

**მუშათა პარტიის შანსები**

**ლონდონი.** გაზეთები უკვე იუწყებიან საარჩევნო კომპანიას. დიდ ყურადღებას აქცევენ მუშა[illegible]

---

# კომუნისტური საქართველო.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში 1921 წლის 25 თებერვალი ისტორიული დატაა, საიდანაც იწყება ახალი საქართველოს თავისუფლების ციხე-სიმაგრის შენება. თებერვლის აქტი აუცილებელი მოვლენა იყო საქართველოს მშრომელი მასის ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ტვირთისაგან განთავისუფლებისათვის.

ოქტომბრის რევოლიუციის, რუსული ბოლშევიზმის მიზნები მსოფლიოში მარტო საბჭოთა ფედერაციის მაშტაბით არ ამოიწურება. კომუნისტური ბრძოლის სარბიელი მთელი ქვეყანაა, დედა-მიწის ყოველი კუნჭული, სადაც კი ბატონობს წარმოების ბურჟუაზიულ—კაპიტალისტური სისტემა. ბოლშევიზმი მსოფლიო ბუნებისაა. მუშათა კლასის თავისუფლებისათვის ბრძოლამ იცის საზღვრები, ნეიტრალი ზონები, დრო და სივრცე, ადგილი და პირობები. მუშათა მოძრაობას აქვს პერმანენტული ხასიათი. აშკარაა, კომუნისტური რევოლიუციის მსოფლიო მაშტაბში განვითარებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა თვით რუსეთის ოქტომბრისათვის. ცნობილია ის დებულება, რომ რუსეთის კომუნისტური მოძრაობის ლოღიკურ დასკვნამდე დაყვანა შეიძლება უმთავრესად საერთაშორისო ბურჟუაზიულ რკალის გარღვევით, ბოლშევიზმის მთელი ქვეყნის სინამდვილეში განხორციელებით. რუსეთში პროლეტარული ბრძოლის გამარჯვება დამოკიდებულია უპირველესად ყოვლისა ევროპის პროლეტარიატის გამარჯვებაზე. ამიტომაცაა სწორედ, რომ კომინტერნის პრაქტიკული პოლიტიკის ყურადღება მთელი თავისი სიმძაფრით უცხოეთის კაპიტალის დასაძლევად[illegible]ისკენაა მიპყრობილი. აუარებელ ფიზიკურ ძალებს, ფინანსიურ, ეკონომიურ და ლიტერატურულ საშუალებებს ხარჯავს რუსეთის კომუნისტური პარტია ევროპის კონტინენტზე რევოლიუციონურ ხანძარის გამეფებისათვის. რომელი რევოლიუციონერი და სოციალისტი იტყვის, რომ ეს ასე არ უნდა იყოს, რომ ასეთი მოქმედება რევოლიუციონურ კომპარტიისა მიზანშეუწონელია და მიუღებელი?

ცხადია, არც ერთი, გარდა ბურჟუაზიულ ბანაკში დამკვიდრებულ და ბურჟუაზიულ ბაცილებით დაავადებულ სოციალ-რეფორმისტისა.

საქართველო იმ თავითვე მოექცა ოქტომბრის ჰორიზონტს იქით. ქართველი მუშა და ღატაკი გლეხი როდი იყო საქართველოს რევოლიუციისაგან გამიჯვნით კმაყოფილი. ქართველი ხალხი განაცალკევეს რუსეთის პროლეტარიატისა და გლეხობისაგან მენშევიკებმა ხელოვნურად. პარტიული თავმოყვარეობა და ჟინიანობა, მენშევიკურ პარტიას უკარნახებდა რუსეთის მიდამოების დატოვებას და მშობლიურ აკვანში ჩასვენებას. ასედაც მოიქცნენ მენშევიკური მასსის მესვეურები. გამოყვეს ჯერ ამიერ-კავკასია რუსეთისაგან, ხოლო შემდეგში—თვით საქართველო ამიერ კავკასიისაგან. ამ რიგად შექმნეს 26 მაისის აქტი, საქართველოს პოლიტიკური „დამოუკიდებლობა“.

ვინც საქართველოში სცხოვრობდა მენშევიკების ბატონობის დროს და ადევნებდა თვალყურს დემოკრატიულ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას, დამეთანხმება, რომ ქართველი მშრომელი ხალხი სრულებით არ იყო დამოუკიდებელი არც ეკონომიურად, არც პოლიტიკურად. საქართველო წარმოადგენდა სათამაშო ნივთს ანტანტის იმპერიალისტების და ჯაშუშების ხელში. ინგლის იტალიის უმაღლესი კომისრები, სამხედრო ძალები და შავრაზმული ელემენტები გაცილებით მეტი უფლებებით სარგებლობდნენ საქართველოში კერძოთ და ამიერ-კავკასიაში საზოგადოდ, ვინემ დემოკრატიული რესპუბლიკების უზენაესი ორგანოების წარმომადგენლები. საქართველო მოექცა ანტანტის კაპიტალის პოლიტიკურ და ეკონომიურ დიქტატურის ქვეშ. ნომინალად საქართველო ქართველ მშრომელ ხალხს ეკუთვნოდა, ფაქტიურად და არსებითად——ევროპის კაპიტალისტებს, ევროპის ბურჟუაზიას.

„განათლებულმა“ ევროპამ იცნო მენშევიკურ საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა ფაქტიურად და იურიდიულად. რატომ?. უბრალო და მარტივი მოსაზრებით. დემოკრატიული მთავრობის ეკონომიური და სოციალი პოლიტიკა ბურჟუაზიულ პრინციპებზე იყო აგებული. კერძო საკუთრება მიწაზე, კერძო საკუთრება ფაბრიკა ქარხნებსა და ყველა საწარმოო იარაღებზე შეურყევლად იყო განმტკიცებული. საქართველოს „სოციალისტური“ მთავრობა ევროპის კაპიტალისათვის არ წარმოადგენდა საშიშროებას. სწუწნე ქართველი შრომელი მასსის სხეული და საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის წვენი, მოპრძანდით, დაბანაკდით, მდიდარია ჩვენი ქვეყანა, მაგრამ არ არის კაპიტალისტის გამოცდილი ხელი—აი რას ეუბნებოდენ დემოკრატიული საქართველოს მესვეურები ანტანტის მტაცებლურ კაპიტალის მაგნატებს. საქართველო ბურჟუაზიულ სახელმწიფოების წმინდა წყლის, ტიპიურ კოლონიას სახედ გადაიქცა. ტყვარჩელის ხელშეკრულება საფუძვლიანი მოწმობაა სავალალო მდგომარეობის.

ამ რიგად, დემოკრატიულ-მენშევიკური საქართველო არც ეკონომიურად, არც პოლიტიკურად არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულს. მაგრამ ერთი რამ უეჭველად მართალია და აღსანიშნავიც. 1918—20 წ. წ. საქართველო დამოუკიდებელი იყო საბჭოთა რუსეთისაგან, გამიჯნული იყო რუსეთის კომუნისტურ რევოლიუციის, რუსეთის მშრომელი მასსისაგან. არ იცოდა ქართველმა მუშამ და გლეხმა რას შვრებოდა, რას აკეთებდა რუსეთის მუშა და გლეხი. მეორე მხრით არც კომუნისტურ რუსეთის მშრომელ ელემენტებს ჰქონდათ ორგანიული კავშირი და უშუალო ურთიერთობის საშუალება ქართველ მუშათა წრეებთან. ისტორიული მეგობრები ისტორიულ მტრობის ბადეში მოექცნენ. აი ეს შესძლო მენშევიზმმა, მენშევიკურმა ხელისუფლებამ ბატონობის სამი წლის განმავლობაში. საქართველო დამოუკიდებელი პროლეტარულ რევოლიუციისაგან და დამოკიდებული ბურჟუაზიულ რეაქციასთან, ასეთი იყო დემოკრატიულ საქართველოს პოლიტიკური სახე, პოლიტიკური ფიზიონომია.

25 თებერვალს ტფილისის ქუჩებში ვარსკვლავოსან წითელ არმიელებმა და რევოლიუციონურად განწყობილ ტფილისის პროლეტარიატმა საერთაშორისო რევოლიუციის და კომუნიზმის დროშები ააფრიალეს. მშრომელი საქართველო ჩადგა თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში. როგორ შეხვდნენ ამ ისტორიულ მოვლენას ქართველი „მამულიშვილები?“ რა თქმა უნდა უარყოფითად, გულისწყრომით, ტირილით, კვნესით, გოდებით. საბჭოთა საქართველო მოსკოვის პროვინციათ წარმოიდგინეს, საერთაშორისო რევოლიუციის ავანგარდი წითელ არმიელები და კომუნისტები——ოკუპანტებად ძალმომრეებად, საშინელებად. დღემდე კიდევაც ებრძოდენ საბჭოთა ხელისუფლებას, რა იყო ბრძოლის მოტივი? უმთავრესად შემდეგი: საქართველოს ეროვნული სიკვდილი, ეროვნული თავისუფლების, „დამოუკიდებლობის“ მოსპობა. ამ „არგუმენტით“ სარგებლობდნენ ქართული პოლიტიკური მიმდინარეობანი, ამ საბუთს აჩვევდა ხელში მენშევიკური პარტია, ამ ლოზუნგს აყენებდნენ ქართველი მუშის და გლეხის წინაშე.

რას ვხედავთ გასაბჭოების ორ ნახ. წლის შემდეგ? სავსებით საწინააღმდეგო სურათს. თუ ოდესმე ქართველი მასსის სულისკვეთება იყო დამოუკიდებელი ცხოვრება, ასეთი დამოუკიდებლობა და თავისუფალი არსებობა ფაქტია დღეს, კომუნისტურ საქართველოს სინამდვილეში. ქართველ მიწის და ქარხნის მუშას არ ყავს ბატონი არც ყანაში, არც ფაბრიკაში, არც ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქართველი მუშა და გლეხი ბატონ-პატრონია თავის ცხოვრების. იგი არაა დედოფალა არც ანტანტის კაპიტალისტების ხელში, არც სოციალ-იმპერიალისტების თვალში. კომუნისტურ საქართველოში ძირ-ბუდიანად აღმოიფხვრა ფეოდალიზმის უკანასკნელი ნაშთები, ძალზე შეიბღალა სპეკულიანტური ბურჟუაზიის სათარეშო ასპარეზი. ქართველ მუშას და გაღატაკებულ გლეხს არ აწუხებს არც თავადი, არც აზნაური, არც მღვდელი, არც ბერი, არც ვაჭარი, არც ქურდი და ავაზაკი, არც მიწის უქონლობა და უსამართლობა. ჩავუკვირდეთ თანამედროვე სოფლის ცხოვრებას, ქალაქის ვითარებას. ყველგან ერთ და იმავეს ამოვიკითხავთ —ქართველი მუშის დუხჭირ ცხოვრების ბრჭყალებისაგან განთავისუფლებას. გრძნობს ამას გლეხი და მუშა? გრძნობს, კიდევ მეტი—უშუალოდ განიცდის თებერვლის გადატრიალების შედეგებს. იშვიათია აღმოჩნდეს ისეთი გლეხი და მუშა, რომელსაც არ სჯეროდეს კომუნისტების სოციალისტობა, დაუღალავი უანგარო რევოლიუციონერობა, თანამედროვე რევოლიუციის მუშურ-გლეხური, პროლეტარული ხასიათი.

საკითხი შეიძლება დაისვას უფრო მაღალ მოსაზრებათა“ სიბრტყეზე. პოლიტიკური თვალსაზრისის მომარჯვება ასურათხატებს კომუნისტურ საქართველოს პროლეტარულ შანაარსს. რას ჰნიშნავს საზოგადოდ ეროვნული თავისუფლება, პოლიტიკური დამოუკიდებლობა?—მშრომელი ხალხის შინაურ ცხოვრებას თავის გემოზე, თავის ყაიდაზე მოწყობა-მოგვარება-მოწესრიგებას, საკუთარი ენის სახის შენარჩუნებას. რა არის ყოველივე ამის საფუძველი, აბსოლუტური ვარიანტი? ეკონომიკა, ეროვნული ეკონომიური რესურსების შექმნა, მოკლეთ—ეკონომიური ნაციონალიზაცია. თუ არ არის ეს პირობა დაცული, იქ პოლიტიკურ თავისუფალ ცხოვრებაზე ლაპარაკი უბრალო ლაზღანდარობაა, ჩხირკედელაობაა და მეტი არაფერი. მართლაც, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთი სახელმწიფო მეორესაგან დამოუკიდებელი, თუ იგი მო-

ია პარტიის შანსებს. „ტაიმსი“ იუწყება, რომ თუმცა წარსულ არჩევნების დროს მუშათა პარტიამ წამოაყენა 450 კანდიდატი, მაგრამ ეხლა საეჭვოა, შესძლებს თუ არა იგი წამოაყენოს ამდენივე კანდიდატი, რადგანაც საარჩევნო ფონდი არა აქვს. გაზეთი აღნიშნავს, რომ პარტიას არა აქვს ცენტრალური ფონდი არჩევნების მთელი ხარჯები აწვება ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომელნიც ისეც ძლივს ახერხებენ არსებობას.

**ლიბერალთა გაერთიანება**

**ლონდონი**, ლიბერალურ პარტიის ორივე ჯგუფის გაერთიანება უკვე მომხდარი ფაქტია.

# ახალი ამბები

— **ახალი წიგნი.** საქ. კომპარტიის ცეკას გამომცემლობამ გამოსცა წერილების კრებული: „ოქტომბრის რევოლიუცია და საქართველო“ შემდეგი განყოფილებებით: 1) ოქტომბრისაკენ, 2. ოქტომბრის რევოლიუცია და მისი ადგილი ისტორიაში; 3) ოქტომბრის რევოლიუცია და მენშევიკური საქართველო, 4) ოქტომბერი საქართველოში. კრებულში ამხ. ლენინის, ტროცკის, ზინოვიევის, რადეკის, ბუხარინის, მ. ცხაკაიასი. ფ. მახარაძისა და სხვათა ძველი და ახალი წერილები. წიგნი სუფთად არის გამოცემული, მოთავსებულია შიგ ოქტომბრის რევოლიუციის ბელადების სურათები შეიცავს 232 გვ.

— **სატყეო უწყებათა მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.** სრ. საქ. ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტმა მიიღო მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი სატყეო უწყების მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ყოველივე სატყეო შემოსავალიდან 19 პროც. გადარიცხვის შესახებ.

— **ზუგდიდის აღმასკომის შუამდგომლობა.** სრ. საქ. ცენტ. აღ. კომიტეტმა ზუგდიდის აღმასკომის შუამდგომლობა, ჯღაშიას სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ, გადასცა განსახილველად უზენაეს სასამართლოს.

— **შრომის ბირჟა.** 15 ნოემბერს შრომის ბირჟა აღრიცხვაზე გამოცხადდა 24 უმ. ახლად ჩაეწერა 45 უმ. გაიგზავნა სამუშაოზე 43 უმ.

— **ტფილისის მაზრის დაყოფა 7 რაიონად.** აღმასკომის დადგენილების თანახმად, ტფილისის მაზრა დაყოფილა 7 რაიონად: ერწო, გარე კახეთი, კარაიაზი, ასურეთი, ალბულახი, წალკა და მანგლისი.

— **ბავშთა მოძრაობა კოლექტორში.** 1-ლ ოქტომბრისთვის კოლექტორში ირიცხებოდა 90 ბავში; ოქტომბრის განმავლობაში მიღებულია 110 ბავშვი, ამავე ხნის განმავლობაში კოლექტორიდან წავიდა 50 ბავშვი. 1-ლ ნოემბრისთვის კოლექტორში ირიცხებოდა 150 ბავშვი.

— **ტფ. უსინათლოთა სასწავლებელში.** მოაფეთა მიერ ოქტომბრის განმავლობაში გაკეთებული ნივთების ღირებულება უდრის რვას ოცი მილიონს და სამასი ათასი მანეთს.

— **მცირე წლოვან დამნაშავეთა საქმეების განმხილველ კომისიაში.** ოქტომბერისთვის კომისიაში დაუმთავრებლად დარჩენილი იყო 9 საქმე. ოქტომბრის განმავლობაში კომისიაში შემოვიდა 49 საქმე. აქედან სისხლის მოსპობის განზრახვისა 1, უბრალო ქურდობისა—43, უზნეობის - 1, სხვა და სხვა 4, საანგარიშო დროს განმავლობაში 45 საქმე.

— **საბავშო თეატრის ორგანიზაციისათვის.** სოციალურ აღზრდის მთავარ მართველობამ, დაავალა ნინო ოკოჯავას და ნინო ნაკაშიძეს, შეიმუშავონ საბავშო თეატრის ორგანიზაციის გეგმა.

— **მიწების დამუშავება კულტგანყოფილების მიზნით.** ქ. აღმასკომის მიწად-მოქ. განყოფილებამ კულტურულ-განმანათლებელ მიზნით დასამუშავებლად ტფილისის მაზრაში გამოჰყო 475 დესეტინა მიწა.

**დღეს თეატრებში:**

— **რუსთაველის თეატრი.** წარმოდგენა პროფკავშირის წევრებისათვის „მზის დაბნელება საქართველოში“.

— **სახელმწიფო ოპერა.** პროფკავშირის წევრებისათვის „კარმენი“.

— **სახელმწიფო კონსერვატორია.** კონცერტი რუსულ ენაზე.

— **ავადმყოფობა ტფილისის მაზრაში.** ქ აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით, მიმდინარე წელს ტფილისის მაზრაში იყო მალიარიით (ციებით) ავადმყოფი—3412 სული, სხვა და სხვა ავადმყოფობით ყოფილა 2687.

— **თავის დაჭრა:** 13 ნოემბერს მოქ. ნიკოლოზ ფედოროვიჩმა მცხ. ანდრიევის ქ. № 82—ში რევოლვერით მძიმეთ დაიჭრა თავი. დაჭრილი მოთავსებულია საავადმყოფოში.

— **ქურდობა.** 13 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, მოქ. მიხეილ სტეფანიშვილის ბინიდან, მცხ კადეტის ქ. № 2—ში, მოუპარავთ ერთი ხალიჩა.

— **ვალიუტის კურსი.** 16 ნოემბერი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | 116.000 | მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 11,0000 | „ |
| ჩეკი. | 106,000 | „ |
| დოლარი ფექ. | 25,000 | „ |
| ჩეკი. | 23,200 | „ |
| ოსმალური ლირა | 13,300 | „ |
| საბჭოთა ფული | 12,000 | „ |

# პარტიაში

კვირას, 18-ნოემბერს, 4 საათზე, ცენტრალურ ბიუროში მოწვეულია სტუდენტთა კომიტეტის სხდომა. გასარჩევია ფრიად სასწრაფო საკითხები.

**სტუდ. კომიტეტი.**

# ჩვენი სკოლა

**სალამი ძვირფას ამხანაგებს.**

დღეს ტფილისის სკოლების მუშაკთა პატარა ოჯახი დღესასწაულობს თავის უფროსი ამხანაგების ს. კალანტაროვის, ო კარპინსკის, მ. ვახვახიშვილის, წერეთლის, თ. ჩიჯავაძის, ა. არდაზიანის, ე. ლორთქიფანიძის და ე. ხიმშიაშვილის ოცდა ხუთი წლის სამასწავლებლოასპარეზზედ მოღვაწეობას.

დღეს განათლების მუშაკნი მიულოცავენ ბრწყინვალე გამარჯვებას მათ, ვინც ჩვენი სკოლა განვლილ დუხჭირ ხანის განმავლობაში, ვით ნამდვილმა მშობელმა, თვის მკერდ ქვეშ ამოფარული ატარა; ვინც ორი ათეულ წელზედ მეტი უგერგდა ჩვენ სკოლას დასაკლავად აღმართულ ლახვარს; ვინც სიღარიბით ღონე მიხდილი იკრებდა უკანასკნელ ძალ ღონეს, ეწეოდა პირდაპირ და ფარულ ბრძოლას და სკოლა მშრომელ ხალხისკენ მიჰქონდა; ვინც ასე ტანჯვით და ბრძოლით—მტრისგან დევნილი, მთლად იარაში გახვეული ჩვენი სკოლა ჩვენს ბრწყინვალე ხანამდის მოიტანა და ამაყად შესთავაზა იგი მას, ვისაც იგი ნამდვილად ეკუთვნის და მისი ნამდვილი პატრონი და სულის ჩამდგმელი არის; ვინც ბრძოლაში ძალა მიხდილი არ შედრკა, არ შეშინდა და წრფელის გულით მშრომელი ხალხის სულისკვეთებით გამსჭვალული, სკოლას კვლავ გვერდით ამოუდგა.

დიადი, გულწრფელი და უანგაროა, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენი შრომა ამ განვლილ ოცდა ხუთი წლის განმავლობაში და ჩვენ თქვენს უმცროს ამხანაგებს გვიჭირს არამც თუ გამოთქმა, არამედ წარმოდგენაც კი იმ ტანჯვის, შრომის და ბრძოლის, რომელიც თქვენ განიცადეთ სკოლის საკეთილდღეოთ. მხოლოდ თქვენი სკოლის შენობის უტყვი კედლები არიან უტყუარი ამის მოწამენი.

გულწრფელია თქვენი ღვაწლი ძვირფასო ამხანაგებო!

გულწრფელი სიყვარულით და პატივისცემით აღსავსეა ჩვენი თქვენდამი სალამიც! იცოცხლეთ მრავალ წელს პროლეტარული სკოლის საკეთილდღეოთ!

**საიუბილეო კომისია.**

# მოწოდება

**სრულიად საქართველოს ქართველ ხელოვანთა კულტურული კავშირის მსახიობთა სექციის წევრებისადმი**

ამხანაგებო!

ახლოვდება ჩვენი ტრადიციული დღესასწაული—2 იანვარი—დღე ქართული თეატრისა, დღე ქართველი მსახიობისა. მომავალი 2 იანვარი 1924 წლისა მეშვიდე ათ ოთხი იანვარია მას შემდეგ, რაც, როგორც უწყით, ჩაეყარა საფუძველი თანამედროვე ქართულ თეატრს. თუმცა ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ქართული თეატრის ისტორია ამ დღიდან იწყებოდეს, მაგრამ თანამედროვე კონსტიტუციის თეატრის პირველი დატა უეჭველად 1850 წლის 2 იანვარია.

თანახმად მიღებული ტრადიციისა, ჩვენ გვმართებს განსაკუთრებულის ხალისით აღვნიშნოთ ეს დღე. ამისათვის თქვენ მიერ არჩეული და თქვენი ნდობით აღჭურვილი საბჭო მოგმართავთ კავშირის წევრთ წინადადებით: 1) ყველგან, საქართველოში ამ დღეს გამართოთ სადღესასწაულო წარმოდგენები. 2) წარმოდგენას შეიძლება დაერთოს მოხსენება საერთოდ სასცენო ხელოვნებისა და კერძოდ ქართული თეატრის შესახებ. 3) გვაცნობოთ წინასწარ თქვენს მიერ ადგილობრივ განზრახული გეგმა. 4) მოითხოვოთ ჩვენგან ჩვენი სცენის ცნობილი ძალები, ადგილობრივ წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად ამ თავითვე და ჩვენ გამოვარკვევთ და გაუწყებთ შესძლებს თუ არა თქვენთვის სასურველი პირი იმ დღისთვის ჩამოსვლას. 5) გაავრცელოთ საზოგადოებაში და აგრეთვე შეიძინოთ ყველა კავშირის წევრებმა თქვენი ჟურნალი „სახიობა“ რომლის პირველი საგანგებო ნომერი გამოვა ამ დღისათვის. 6) მთელი შემოსავალი 2 იანვრისა მეორე დღესვე გადაახურდაოთ ჩერვონცებზე და არა უგვიანეს ერთი კვირისა გადმოგზავნოთ. 7) მოგვაწოდოთ წერილები, სურათები და ცნობები ჟურნალისათვის ადგილებიდან. 8) ამის სისრულეში მოსაყვანად აირჩიოთ კომისიები, რომელთაც დაევალებათ კავშირის ყველა წევრთა დახმარებით, ყოველივე ამის სისრულეში მოყვანა და გვაცნობეთ მათი ვინაობა.

ამხანაგური სალამით **მსახიობთა კავშირის საბჭო.**

# პროვინციაში

**ცაიშის თემი.**

**მინერალური წყარო.** ცაიშის თემს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ზუგდიდის მაზრაში თავისი მდებარეობით ზუგდიდ-სენაკის გზატკეცილზე, მაგრამ მე აქ არ გამოუდგები მისი ყოველმხრივ აღწერას. მხოლოდ განზრახული მაქვს მკითხველი საზოგადოებისათვის თვალსაჩინო გავხადო შესანიშნავი პუნქტი ცაიშში, რომელსაც „მენჯი“-ს უძახიან, შესანიშნავი მინერალური წყარო და სხვა...

ისტორიულად, რომ შევეხოთ, საუკუნეზედ მეტია რაც ცაიშში აღმოუჩენიათ ხსენებული წყარო, „კოტომენჯად“ წოდებული. რომელიც ადგილობრივ მკვიდრთა გამოთქმით ნიშნავს ღრმად ჩაგუბებულ მარილიან წყაროს და ეს სამკურნალოდ გაუხდიათ. აღსანიშნავია, რომ ასეთი თვისების წყაროები გარდა ცაიშისა მის მახლობელ სოფლებშიაც არის და საგულისხმოა ამავე დროს, ყველა იმ მთის გარშემო მდებარეობს, რომელსაც ურთს ეძახიან და ამ მთას ცაიშშიც საკმაო, თვალსაჩინო მდებარეობა უჭირავს, რომლის კალთებზე მოსახლეობენ უმრავლესი მკვიდრნი ცაიშისა.

მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ არცსად ისე ბლომად არ ამოსჩუხჩუხებს ეს მინერალური წყარო, როგორც ცაიშში; მას თითქმის დესიატინაზე მეტი ადგილი უჭირავს, სადაც ყველგან კორდებივით, დაუშრეტელად მოსჩქეფს ეს საგულისხმო წყალი.

---

...ლებულია საკუთარ ეკონომიურ საძირკვლებს და იძულებულია სახელმწიფოებრივ საკითხებს, საგარეო პოლიტიკის გარკვევაში მეზობელ ერთეულების ინტერესებიდან გამოვიდეს. ის ხალხია პოლიტიკურ ემანსიპაციის ბატონ პატრონი, რომელიც უზრუნველყოფილია ეკონომიური ემანსიპაციით. პოლიტიკურ მსოფლიოში უმთავრესად ეკონომიური ფაქტორები სწყვეტს კარდინალ საკითხებს. ზნეობრივ მორალ და აბსტრაქტიულ თვალსაზრისით სავსებით უმნიშვნელო ფაქტები იკინძება კაცობრიობის ისტორიაში. თანამედროვე ეპოქა ეკონომიური არშინით იზომება. ქვეყანა, მოკლებული საკუთარ ეკონომიურ საშუალება წყაროებს, მოკლებულია პოლიტიკურ მთლიანობას, დამოუკიდებელ არსებობას. ინდოეთი იბრძვის მეტროპოლიის წინაამდეგ. ინდოეთმა უკვე მოახდინა ეკონომიური ნაციონალიზაცია და ახლა იგი მიისწრაფის პოლიტიკურ ნაციონალიზაციისაკენ, ინდოეთის ხალხი უეჭველად მიაღწევს თავის მიზანს. მომწიფდა ინდოეთი ეკონომიურად. მომწიფდა იგი პოლიტიკურადაც. აურებელი მაგალითების მოყვანა შეიძლება ამ მხრით. საჭიროა მხოლოდ თვალის გადავლება ეკონომიურ ომების ისტორიისათვის, ჩახედვა სახელმწიფოთა ეკონომიურ ურთიერთობაში. ოსმალეთი და სპარსეთი ყურმოჭრილი მონებია ევროპის კაპიტალიზმის. ამიტომაცაა, რომ არც ნახევრად კოლონიალ სპარსეთს და ასეც „ახალგაზრდა“ ოსმალეთს არ გააჩნია საკუთარი პოლიტიკა, სავსებით დამოუკიდებელი ინგლისისა და საფრანგეთის თვალსაზრისისაგან. მით უმეტესად მწვავედ სდგას ეკონომიურ ნაციონალიზაციის საკითხი წვრილი ხალხების წინაშე. პატარა ერებს ერთ წუთსაც არ შეუძლიათ საკუთარ ენაზე ალაპარაკება, თუ კი ისინი დამუნჯებულნი არიან ეკონომიურად. მხოლოდ დონ-კიხოტის ტიპის ხალხს და რობინზონის კუნძულზე მცხოვრებთ შეუძლიან იაზროვნოს საწინააღმდეგო შეხედულების მიხედვით. ჩვენ კი მტკიცედ გვწამს და გვჯერა, რომ ხალხის პოლიტიკურ თავისუფლებისათვის საჭიროა ეკონომიური თავისუფლება. პირველი შედეგია უკანასკნელის, მეორე მიზეზია პირველის. კომუნისტური საქართველო, განხილული რეალი, მატერიალი თვალსაზრისით სავსებით აკმაყოფილებს და აგრეულ ხალხის პოლიტიკურ მისწრაფებას. საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა საქართველოს ეკონომიური აღორძინება, ეკონომიური რენესანსი. საქართველო განახლდა ეკონომიურად. ასი წლის განმავლობაში იმპერიალისტური, რომანოვების რუსეთის მთავრობა სცლიდა საქართველოს საკუთარ ეკონომიურ სისხლისაგან. სამი წლის განმავლობაში ევროპის კაპიტალის მოციქულები მთელის თავისი ძალ-ღონით სწოვდნენ საქართველოს ეკონომიურ კეთილდღეობის ძუძუებს და თხრიდნენ სამარეს, რომელშიაც აპირებდნენ ქართველი მასსის მომავლის ჩასვენებას. კომუნისტურ საქართველოში პირდაპირ სასწაული ხდება. გრანდიოზული ეკონომიური აღმშენებლობა, რომელიც სწარმოებს საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში, იძლევა განმაცვიფრებელ შედეგებს—ელექტროფიკაცია, კანალიზაცია, მეურნეობის ინტენსიფიკაცია, რკინის გზებისა და გზატკეცილების გაყვანა, მელიორატიული მუშაობანი და მრავალი სხვა და სხვა სახის მიღწევები ეკონომიურ სფეროში—აი რისი მოწმენი ვართ, რასა ვხედავთ საკუთარის თვალებით კომუნისტურ საბჭოთა ქვეყანაში. დიდი გემი იოლად გაიყვანს სამშვიდობოზე პატარა ნავს ზღვის აზვირთებაში.

კომუნისტურ რუსეთს მიჰყავს კომუნისტური საქართველო ეკონომიური აღორძინების და ეროვნული თავისუფლების ნავთსადგურისაკენ. საქართველო გრძნობს საკმაო ეკონომიურ ძალას. წარმოებულ მუშაობის გათვალისწინება და აღებულ გეგმის სისრულეში მოყვანის ცდა საბჭოთა ხელისუფლების, სამეურნეო ორგანოების და აპარატების მიერ საწინდარია ეკონომიურ ნაციონალიზაციის მთელი თავისი სიგრძე-სიგანით განხორციელება. მოსკოვი კი არ სწუწნის ტფილისს ეკონომიურ ენერგიისაგან. პირიქით, ტფილისი იღებს საგულისხმო რესურსებს წითელ მოსკოვიდან. გადახედეთ ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგურისათვის მიერ გაღებულ ფინანსიურ და მატერიალ დახმარებათა ნუსხას და სთქვით გულზე ხელდაკრეფით, ყოველგვარ ქვენა გრძნობების ჟინს მოკლებულად: არის მოსკოვის პოლიტიკაში ნატამალი კოლონიალი თვალსაზრისისა საბჭოთა საქართველოს მიმართ? ამ კითხვაზე შეუძლებელია დღეს დადებითი პასუხის გაცემა. ამის ძალ ღონე არ შესწევს არც ერთ პატიოსან მოქალაქეს, გარდა ორიოდე სინდისისაგან და გულწრფელობისაგან გარეცხილ შავრაზმულ გარეწარების. ქართველი მუშა და გლეხი კარგად ხედავს არსებულ სინამდვილეს. მას თვალს ვერავინ ვერ აუხვევს, ვერ დააბრმავებს ცხოველმყოფელ ფაქტების სხივების წინაშე. ქართული მენშევიზმი დამარცხდა მორალურადაც იმიტომ, რომ ყალბი გამოდგა მისი თვალსაზრისი ბოლშევიზმის მიმართ კომუნიზმი გაგვანიავებს ეკონომიურად, მოგვსპობს ეროვნულად—გაიძახოდნენ მემარჯვენე ელემენტები. არ მოხდა ასე, არ გაამართლა ცხოვრებამ დემაგოგიური სისინი. კომუნისტურმა საქართველომ შესძლო ყალბად მოაზროვნე პარტიათა ბუდის დანგრევა, ქართველი მშრომელი მასსის სიმპატიის დამსახურება.

კითხვა ისმება: კომუნისტურ საქართველოში ეკონომიურ ნაციონალიზაციის გვერდით სწარმოებს თუ არა პოლიტიკური ნაციონალიზაცია? უეჭველად სწარმოებს, და სწარმოებს გაცილებით მეტის ინტენსივობით, მეტის ძალ-ღონით, ვინემ წარმოებდა დემოკრატიულ რესპუბლიკის პირობებში. ქართული ენა უკვე მქონეა სახელმწიფო ენის უფლების. საქართველოს საბჭოთა დაწესებულებებში არ სხედან ჩინოვნიკური და ბიუროკრატიული სულით გაღეშილი ელემენტები, არ მცოდნენი ქართული ენის, ქართველების ზნე-ჩვეულების, ადათის, ფსიხიკის. ქართველი მუშა და გლეხი ესაუბრება საბჭოთა ორგანოებს მშობლიურ ენაზე. იგი ორგანოებიც სრულიად გასაგებია მშრომელი მასსის ყველა წრეებისათვის. მართალია, ამ მხრით შეიძლება გამოინახოს შეცდომები, დეფექტები. მაგრამ ვაცხადებთ სავსებით ობიექტიურად, სავსებით მიუდგომლად: კომუნისტების პოლიტიკა ეროვნულ საკითხში არ არის დეფექტების პოლიტიკა. რა ვქნათ, თუ ხანდახან არა გვაქვს შეცდომებისაგან განწმენდილი პოლიტიკა. ჩვენ საქმე გვაქვს პოლიტიკის დეფექტებთან, და არა დეფექტების პოლიტიკასთან. ეს იმდენად ჭეშმარიტი მოსაზრება კომუნისტების საქმიანობის შესახებ, რომ შეუძლებელია ამ შემთხვევაში აზრის გაორება.

საქართველოს ეროვნული სხეული დაანაწილეს კომუნისტებმაო, ამბობენ ხშირად. არც ესაა მართალი. აქაც უნდა ითქვას გაბედულად: საქართველოს ეროვნული მთლიანობა დღეს უფრო მტკიცეა, საფუძვლიანი და შეურყეველი, ვიდრე იყო ოდესმე ეს. ავტონომიურ ერთეულების: ოსეთის, აჭარის, აფხაზეთის შექმნამ გაამთელა საქართველოს სხეული. მოისპობა ეთნოგრაფიული შუღლი, შინაგანი წინააღმდეგობა, ერთმანეთისადმი აღმაცერობა. მენშევიკური საქართველო გამოდიოდა პაწაწკინტელა იმპერიალისტური ქვეყნის როლში. კომუნისტური საქართველო სრული თავისუფლების ქვეყანაა, რომლის საზღვრებში თავისუფლად შეუძლია ცხოვრება ყველა ქართველ და არა ქართველ ელემენტებს. ეროვნული უმცირესობის ინტერესების დაცვა წმინდათა წმინდაა კომუნისტურ საქართველოსათვის. ვერ ნახავთ არც ერთ მუშა ბერძენს, მუშა სომეხს, მუშა ოსმალოს, რომელიც უკმაყოფილო იყოს საბჭოთა საქართველოთი, ან გრძნობდეს ეროვნულ შეზღუდვას. კომუნისტურმა საქართველომ თავის გარშემო შემოიკრიბა არა მარტო საკუთარი შვილები, არამედ ყველა მშრომელი ელემენტები, განურჩევლად ეროვნულ ინდივიდუალობის. ამიტომ ძლიერია საქართველო და არა მარტო ეკონომიურად, არამედ ეროვნულადაც. მენშევიკურ საქართველოს ყავდა ქართული ჯარი. კომუნისტურ საქართველოს ყავს საქართველოს ჯარი. მენშევიკები აწარმოებდნენ ქართულ პოლიტიკას, კომუნისტები—საქართველოს პოლიტიკას. მენშევიკები იდგნენ ნაციონალისტურ ნიადაგზე. კომუნისტები სდგანან ნაციონალურ გზაზე. პირველნი მიდიოდნენ იმპერიალისტური ბილიკით, მეორენი მიდიან სოციალიზმის დროშით.

კომუნისტურ საქართველოში დაცულია მოქალაქეობრივი და ეროვნული გარანტიები. მხოლოდ მდიდარი, კულაკი, თეოკრატი, არისტოკრატი, რევოლიუციის მტერი, ეროვნული თავისუფლების მოწინააღმდეგე და კაპიტალის მონა არ შეურიგდება საბჭოთა საქართველოს. ეს იმიტომ, რომ კომუნისტური საქართველო არ ითმენს ერთ წუთსაც კი საზოგადოებრივ ცხოვრების პარაზიტებს. საბჭოთა საქართველო შრომის ქვეყანაა. აქ ბატონობს ჩაქუჩი და ნამგალი. ყალთაბანდური ჯგუფები ურიგდება შრომის საქართველოს ფსიქოლოგიურად. უნდა შეითვისონ, რომ მარტო ფსიქოლოგიური შეგუება არ კმარა კომუნისტურ საქართველოს დასაკმაყოფილებლად. კომუნისტური საქართველო პრაქტიკული საქმიანობის, რევოლიუციონური მოღვაწეობის და ფიზიკურ შემოქმედების საქართველოა.

დასკვნა: კომუნისტურმა პარტიამ ქართველი მშრომელი მასსა გამოიყვანა იმ საბედისწერო ქუჩაბანდიდან, რომელშიაც იგი იმყოფებოდა მენშევიკური პოლიტიკის წყალობით. რუსულმა კომუნიზმმა ქართველ მუშას და გლეხს მისცა სარბიელი ეკონომიური შემოქმედების, ეკონომიური აღორძინების, ამავე დროს სარბიელი ეროვნული თავისუფლების, ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის მოძმე ერთეულებთან კავშირის განმტკიცების ფარგლებში. საბჭოთა საქართველოში კეთდება წმინდა მუშური საქმე, გლეხური საქმე და არავის შეუძლია კომუნისტურ საქართველოს მიერ აღებულ რევოლიუციონურ და სოციალისტურ გზის გაქანება პროლეტარულ რევოლიუციის საწინააღმდეგო მიმართულებით.

**გ. მუშიშვილი.**

ის ადგილი სადაც ეს მინერალური წყლები არის ძლიერ უყვართ ადგილობრივ მცხოვრებთ—მეგრელებს, სადაც ყოველ ენკენისთვის 8 რიცხვში იმართება დიდი ჯარობა-დღესასწაული.

ხსენებული აბანოს მახლობლად არის აგებული ადგილობრივი თეთრი თლილი ქვისაგან ძველი ეკლესია, რომელიც სიდიდით და ფორმით დანარჩენ საისტორიო ეკლესიებს არ ჩამოუვარდება საქართველოში და ისტორიული ცნობა-გადმოცემებით და საბუთების მოწმობის ჩვენებით უნდა იყოს აღნიშნული 12 საუკ. სადაც 1821 წლამდე იყო მამათა მონასტერი და ითვლებოდა საეპარქიო-საკათედროდ ცაიშის მიტროპოლიტისა.

წყლის მიდამოები—გადარგულია ერთგვარი ჯიშის ხეებით, რომელსაც ძელქვას ეძახიან და რომელიც სამეგრელოში არცსად არ მოიპოვება, გარდა ზემო იმერეთ—აჯამეთის ტყეებისა.

უეჭველია ეს ხეები საგანგებოდ დანარგავია, რასაც მოწმობს მისი რიგიანობა და სიძველე, მასთან ეტყობა საუკუნოებიც არის განვლილი მათზე მათი სიდიდის მოწმობით.

როგორც ადგილობრივი მკვიდრნი მოწმობენ, ეს წყარო აღმოჩენილა შინაური საქონლების მეოხებით, მეტადრე ძროხები და კამეჩები აწყდებოდა თურმე მის მლაშე კორდებსა და პატარა დაგუბებულ ტბებს. ადამიანებმაც ისარგებლეს, როგორც სამკურნალოთ, მაგრამ ეს სარგებლობა პრიმიტიული იყო და არა სასურველ ნიადაგზე მოწყობილი. აღსანიშნავია ღვაწლი ადგილ. მცხოვრებ, პროვიზორ ილია მეუნარგიასი, რომელიც ძლიერ დაინტერესებულა ამ წყლის თვისებებით. ხსენებული მეუნარგია მსმენელი საფარმაციო კურსებისა 1905 წელს შესდგომია ამ წყაროს ჭაობების ამოწმენდას, წყლის მეპატრონე ჟორდანიების დახმარებით და მოუწყვიათ გვარიანი აბანო, საბანაო ვანებით, მაგრამ უნდა ითქვას—პრიმიტიულია. მისი მეცნიერულად გამოსარკვევად და შემადგენელი ნაწილების შესასწავლად ხსენებულ ილია მეუნარგიას, 1906 წ. წაუღია სანიმუშოდ მოსკოვის ქიმიურ ლაბორატორიაში. იქაურ შემოწმებამ აღმოაჩინა წყალში უმთავრესად საჭმელი მარილი და გოგირდი.

1914 წ. მაზრის ექიმ იას. მუჯირმა, როგორც დაინტერესებულმა პიროვნებამ ხსენებული მინერალური წყაროს თვისებებით, წყალი გაგზავნა შესამოწმებლად კავკასიის სამოქალაქო უწყების საექიმო სამმართველოს ქიმიურ ლაბორატორიაში, სადაც იგი შეამოწმეს და იცვნეს გოგირდიან-მარილიან წყაროდ.

ამ გვარად ეს წყარო იქმნა ცნობილი სამკურნალოდ და მოწყობილი 1908 წლიდან აბანოს სახით, პროვ. ილ. მეუნარგიას თაოსნობით და მოაწყვეს იგი, 10 ტინობის ვანით ხის სახურავ კედლებით. 1918 წ. აბანო ჩამოართვეს მეპატრონეებს და გადავიდა ადგილობრივი ერობის მფლობელობაში, მაგრამ ერობამ მას ვერაფერი ვერ შესძინა და აბანო დარჩა ისევ ძველ პირობებში. 1921 წ. საბჭოთა მთავრობა შეუდგა მის გაუმჯობესებას და გადაკეთებას, მაგრამ საშინელი სიძვირისა გამო ჯერ-ჯერობით ისევ ისე დარჩა და ამა წლის სეზონზე აუარებელი მოაგარაკენი ვერ კმაყოფილდებოდა სათანადოდ.

ასე თან და თან ეს წყარო ღებულობს ფართო ხასიათს როგორც სამკურნალო და ყოველ წელს მატულობს რიცხვი მეაბანოვეთა, მასთან მდებარეობა ხელს უწყობს აბანოს.

ცაიში ცოტა მთა-გორიანი სოფელია, აქ შეხვდებით ველებსა და საკმაო მოზრდილ გორაკებს, რომელიც ზამთარ-ზაფხულ ასწვანებულია დაფნის ფოთლითა და ბზებით. იგი ზუგდიდიდან ათი ვერსითაა დაშორებული, მშვენიერი საფოსტო გზატკეცილით, რომელიც რამოდენიმე საჟენის მახლობლად ჩაუვლის აბანოს აღმოსავლ. და დასავლ. აბანოისა არის კიდევ რამოდენიმე საჟენის მახლობლად შავი ზღვის რკინის გზა, სადაც სადგურიცაა დაპირებული, თუმცა ჯერ ჯერობით შეჩერებულია მიმოსვლა და გზების შესწორება. სამხრეთით აბანოს 8—10 საჟენის მანძილზე ჩამოუვლის საკმაოდ მოზრდილი მდ. ჯუმი. ჰავა მჩატეა და ზომიერი; მშვენიერია მეაბანოებისათვის სეზონის განმავლობაში საცხოვრებლად ხსენებული გორაკი-ბორცვები, სადაც ხშირი მოსახლეობაა სტუმართ მოყვარე მეგრელებისა.

მე არ შემიძლია მოვახდინო გეოლოგიური გამოკვლევანი, მაგრამ თვალსაჩინოება და სწორი დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ხსენებული წყაროს გარეშე მიდამოები სავსეა კირიანი მიწით. კირს თან ახლავს გიპსი, რომელიც გვაფიქრებინებს—წყაროს გარშემო არის დიდი ფართო სიღრუვე და მაღლობ ადგილებიდან მომდინარე წყალი გადის გიპსს და კირიან ფენებს, მოაქვს ნივთიერებანი, რომელთაც ანაცარტუტიანებს გიპსი და კირიქვა. მიწიდან მიმავალა წყალი იცვლება გზა და გზა ქიმიურად სხვა და სხვა ნალექების ზედგავლენით და მრავალგვარი ქიმიური პროცესის დროს გოგირდკირად და ორგანიულ სიმჟავეებთან შერევით იშლება კირის მარილებად და ჩნდება გოგირდის წყალბადი. ეს წყალი ისე ბლომად არის, რომ მისი ჭები შეგვიძლია რამოდენიმე ამოვთხაროთ ამ ალაგზე, რომლიდანაც ჭარბად ამოსჩუხჩუხებენ.

მგონია არ იქნება ურიგო, რომ მკითხველ საზოგადოებას გავაცნო, თუ რა სნეულებათაგან არჩენს ადამიანს ეს წყარო. თვით დაკვირვების, უამრავი ცდებისა და ექიმების შემოწმებით გამოკვლეულია—ცაიშის აბანო უებარი წამალი და მშველელია შემდეგი ავადმყოფობათა:

1) ქარების, ქრონიკულ სახსრის ანტების, და ამ ნიადაგზე სახსრების დასახიჩრების.

2) ათაშანგის.

3) ლითონებისაგან მოწამვლის.

4) კანის ქრონიაულ დასნეულების.

5) დაშავებისა და მის შედეგების.

6) ნევრიულ სისტემის ავადმყოფობის განსაკუთრებით ზურგისა და ტვინის (მიელიტი და სხვა).

7) ძვლებისა და სახსრების ჭლექის.

8) ინგლისურ სენისა და თიადორის.

9) ნევრილაგიისა და ნევრიტების.

10) დედათა ორგანოების დაუძლურების (ენდომეტრიტი, პარამეტრიტი, პეოიმეტრიტი, ოოფორიტი და სხვა).

11) საშარდე ბუშტის წინ მდებარე ჯირკვლისა და საშარდე მილის ქრონიკულ ანთების.

თუ როგორ უდგება ხსენებული გოგირდის წყალი ჩამოთვლილ თვითოეულ სნეულებებს, ეს უკვე განმარტებულია იმ ბროშიურაში, რომლითაც მე ეხლა ვხელმძღვანელობ და რომელიც გამოუშა ამა წელს „ცაიშის მინერალური წყარო“-ს სახელწოდებით ზემოხსენებულ ექიმ პატივცემულ იასონ მუჯირმა, რომელიც მოწონებულია ზუგდიდის ექიმთა საზოგადოების და ჯანმრთელობის განყოფილების კოლლეგიის მიერ.

მე პირადად, როგორც ერთ-ერთი მკვიდრი ცაიშის თემისა ისე მთელი ცაიშის თემი, არა თუ ცაიშის თემი, არამედ მაზრაც არა მგონი არ გამოსთქვამს ულრმეს მადლობას ექ. მუჯირისადმი ხსენებული წიგნაკის შედგენის გამო და მის ფართო მასაში გავრცელებისათვის. და მასთან ცაიშის საბჭოთა აფთიაქის პროვიზორ ილია მეუნარგიასადმი, რომელიც თავგამოდებით აბანოს გაუმჯობესების ცდაში და ზრუნვაში იყო და არის.

ეს წყარო არა მარტო საბანავოდ არის სამკურნალო, არამედ სასმელადაც დიდი მნიშვნელოვანია. ბევრი მეაბანავე ეტანება ამ წყლის სმას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ექიმთა შემოწმებით, ეს დაუშვებელია თურმე გაუწმენდავად. პროფ. მეუნარგიამ მოახდინა ასეთი გაწმენდა: მან გაატარა ეს წყალი ფიჭვის ნახშირში, და შემდეგ გაატარა გაზში, ე. ი. გაჟღენთა ნახშირმჟავით და მიიღო კარგი და უვნებელი მინერალური წყალი, რომელიც თავის თვისებებით, სასმელად არც ერთ მინერალურ წყლებს არ ჩამოუვარდება საქართველოში. ამით დიდ იმედებს იძლევა პროვ. მეუნარგია, თუ მას გაუწია ანგარიში ადგილობრივი სამაზრო მთავრობამ და მოახდინეს გაწმენდა და დამზადება წყლისა ისე, როგორც ეს ხსენებულ პროვიზორმა მოახდინა.

ცაიშის მინერალური წყარო დიდი ბუნებრივი მონაპოვარია არა მარტო ცაიშისათვის და ზუგდიდის მაზრისათვის, არამედ მთელი სამეგრელოსათვის. მასთან იგი ყველასათვის მისაწდომი ადგილზე მდებარეობს, ოდიშის უმთავრეს, ზუგდიდსენაკის გზატკეცილზე. სამწუხაროა, რომ იგი ვერ არის დაყენებული ჯერ-ჯერობით სასურველ-სათანადო ნიადაგზე, ტეხნიკურად მოუწყობელი, შესაფერ შენობას მოკლებული, მთელი სიმდიდრე წყაროს გარშემო გამოუყენებელი და მასაან მოაგარაკებისათვის არც ერთი თავშესაფარი, ეს ყველაფერი რა თქმა უნდა შემაფერხებელია მეაბანავეთა.

დასასრულ ვიმედოვნებთ, მომავალ სეზონისათვის ადგილობრივი მაზრის მთავრობა არ დაიშურებს ყოველგვარ ძალ-ღონეს და თავგამოდებას. გადალახავს წინ მდებარე დაბრკოლებებს და ერთხელ განზრახულ გეგმას და დასახულ მიზანს ხორცს შეასხამს. ამით ცაიშის აბანოს დააყენებს სასურველ ნიადაგზე ყოველი მორთულობით და მასთან ეს ახალი განზრახვა, რომელიც დიადი მნიშვნელოვანი არის, ამისათვის მოეწყობა ცაიშში გოგირდმჟავბადისაგან გასაწმენდი და ნახშირ-მჟავა გაზში გასატარებელი პრაქტიკულად და ამით სასმელად მოსაწყობი სათანადოდ შესაფერი ქარხანა.

ამ გვარად შეიძლება ცაიშის აბანო გახდეს საკმაოდ შესანიშნავი და დამაკმაყოფილებელი უამრაა მოაგარაკეთა, რაც დიდი მნიშვნელოვანი და სასარგებლო იქნება მშრომელი მასისათვის.

**სოლო ცაიშელი.**

## ხელოვნება

**სახელმწიფო ოპერა.** დღეს 17 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება პროფკავშირებისთვის ოპერა „კარმენი“ მუსიკა ბიზესი.

—

**რუსული დრამა.** სახალხო სახლში დღეს 17 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება „ხუმარა ტანტრისი“ დრამა 5. მოქმ. 1. გარდტ—ისა. თარგ. პ. პოტემკინისა, დადგმა შესტოვისა, კოსტიუმები და ბუტაფორია სახელმწიფო ოპერისა.

—

**მოწაფეთა თეატრი** (ყოფილი კამერული). დღეს 17 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება „ყვავი“ 5 მოქ. კარ. გოცცისა, რეჟისორობს კიპრინსკი, მუსიკა ლასმანოვისა. დეკორაციები ი. გამრეკელისა კვირას 18 ნოემბერს დილით ბავშვებისთვის წარმოადგენენ „ზღაპარი ზარმაცზედ“ 1 მოქ. და „საშიშარი ხასიათი“ 2—მოქმედ. დასდგავს ა. ტუგანოვი, დეკორაციები მხატვარი 6. კულეშის.

—

**ახალი პიესა.** პ. ირეთელმა დასწერა ახალი პიესა „დანგრეული სამოთხე“ 4 მოქმედებად.

—

**ახალი წიგნი.** ამ მოკლე ხანში გამოვა ახალი წიგნი გ. ყორჩიბაშისა „ანარქისტის დღიური“.

—

**იუბილე.** სახალხო სახლის ქართული დრამის 30 წლის არსებობის იუბილეს გადახდა დანიშნულია დეკემბრის 2-სთვის.

—

**კონცერტი.** სახელმწიფო კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში, დღეს 17 ნოემბერს, გაიმართება დიდი კონცერტი, კომპოზ. პ. ი. ჩაიკოვსკის გარდაცვალებიდან 30 წლის ხსოვნის აღსანიშნავად, პროფ. მ. ლედნიკის და ა. რეშიმოვის ქალის მონაწილეობით. პროგრამის ძირითადი ნომერი არის პ. ჩაიკოვსკის „კონცერტი“ ჭიანურისთვის, კონცერტის დაწყებამდე შესავალ სიტყვას პ. ჩაიკოვსკის შემოქმედებაზედ იტყვის კ. ს. ანანოვი.

**ხელოვნების სა[illegible]** [illegible] ხელოვნების სასახლეში, [illegible] თება სრულიად სა[illegible] სალიტერატურო საღამო. მოხსენებას წაიკითხავს ალ. ქუთათელაძე: ვაჟა-ფშაველა „გველის მჭამელი“, „მინდიას ტრაღედია“. მოხსენების შემდეგ კამათი. შესავალი ბილეთები განსაზღვრულია. ბილეთების ფასი 2 მილიონი მანეთი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ა. ქ. ს. ს. რესპუბლიკის გაერთიანებული რკინის გზის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 1 დეკემბრისათვის, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოში (ტფილისი, სადგურის ქ. № 1) დანიშნულია შეჯიბრება, რომელზედაც საიჯაროდ უნდა გადაიცეს 1 წლის ვადით შემდეგი სამუშაოები საქართველოსა და აზერბეიჯანის რკინის გზის სადგურებზე: ტვირთის გადაზიდვა, დატვირთვა და გადმოტვირთვა ტვირთის დაცვასთან ერთად, და აგრედვე მგზავრებისათვის მოხმარების საქმე ტვირთვებ მზიდველებით.

ვისაც სურს მიიღოს თავის თავზე აღნიშნული სამუშაო, უნდა შეიტანოს წერილობითი განცხადება, სადერბო გადასახადით, დაბეჭდილ კონვერტში, შემდეგის წარწერით: „ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ რკინის გზების სამმართველოში, ტვირთზიდვის სამუშაოების გადასაცემად შეჯიბრებისათვის“.

განცხადებაში, გარდა სახელისა, მამის სახელისა და გვარისა უნდა აღნიშნული იყოს მისაღებ სამუშაოების წარმოების პირობები და საფასური ამ სამუშაოსი, როგორც არის ფასი თითო ფუთის დატვირთვისა, გადმოტვირთვისა და გადატვირთვაში.

ტვირთის დაცვა, რომლისთვისაც მას ედება პასუხისმგებლობა ფულით, მის უშუალო თვალ-ყურის დევნებაშია და პასუხს აგებს ტვირთისა და ბარგის შენახვისათვის მიღების დროდან მიმღებისათვის გაცემის დრომდე.

განცხადებას უნდა დართული ჰქონდეს რკინის გზის რომელიმე სალაროდან მიცემული ხელწერილი, რომელიც ამტკიცებდეს, რომ მან შეიტანა საწინდარი—ჩერვონცებით გამონანგარიშებული ძირითადი თანხის 20 პროცენტი.

შეჯიბრებით გადასაცემი სამუშაოები დაყოფილია შემდეგ უბნებად: საქართველოში: 1-ლი ბათომიდან საჯავახომდე (საწინდარი 3.000 მან. ჩერვონცებით); მე-2 ფოთიდან აჯამეთამდე (საწინდარი 3.000 მან. ჩერვ.) მე-3 სვირიდან სკრამდე (3.000 მან. ჩერვ.); მე 4 გორიდან ავჭალამდე, კახეთის შტო და სადგურები ყარაიაზიდან სადახლომდე (2.000 მან. ჩერვ.); მე-5 ტფილისი და ნავთლუღი (15,000 მან. ჩერვ.); ბარგი და სამგზავრო სისწრაფე ტფილისში და მგზავრთა მოხმარება გადაიცემა ცალკე (საწინდარი 7.000 მან. ჩერვ.)

აზერბეიჯანში: 1-ლი ფოილოდან განჯამდე ჩარიცხვით (საწინდარი 4.000 მან. ჩერვ.) მე 2 ზაზალიდან ევლახამდე (2.000 მან. ჩერვ.); მე 3 ლიაკიდან აჯიქაბულამდე (2.000 მან. ჩერვ.); მე 4 პირსაგატიდან ეიბათამდე (500 მ. ჩერვ.); მე-5 ბაქო მეორე, ბალაჯარა, საბუნჩი—სურახანი (2.000 მ. ჩერვ.); მე-6 ბაქო პირველი (7.000 მან. ჩერვ.); მე-7 გურდამირიდან არაბლინსკამდე (3.500 მ. ჩერვ.)

იმ პირთ, რომელთაც არ გადაეცემათ სამუშაო, წინასწარი საწინდარი დაუყოვნებლივ დაუბრუნდებათ უკან.

ძირითადი საწინდარის შეტანის ვადა შეიძლება გაგრძელდეს სამმართველოს განკარგულებით.

შეჯიბრების დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე, გარდა უქმეებისა, ეკონომიური სამსახურის საბარგო სადგურების განყოფილებაში 10 საათიდან 1-მდე.

განცხადებათა შეტანის უკანასკნელი ვადა გადის 1923 წ. 1 დეკემბრის 12 საათზე.

3—1

ბეჭვდითი სიტყვის ექსპედიცია ამით აცხადებს ყველა ტფილისის გაზეთების პროვინციალურ ხელისმომწერთა საყურადღებოთ

შემდეგს:

ვინაიდან გაზეთები დღემდის იგზავნებოდა პროვინციაში ფოსტის საშუალებით, ხშირი იყო შემთხვევ[illegible] რომ გაზეთების ხელის მომწერლები ღებულობენ დაგვიანებით და ხშირად კიდევაც იკარგებოდა, რა[illegible] ჰბადებდა უთანხმოებას, როგორც ხელის მომწერთა და გაზეთების კანტორების შორის, აგრეთვე კა[illegible] ტორებსა და ექსპედიციის შორის, ამიტომ ექსპედიციამ საჭიროდ სცნო და შეუდგა პროვინციის [illegible] ლის მომწერლებზედ გაზეთების დარიგებას თავისი აგენტების საშუალებით, რისთვისაც ექსპედი[illegible] სთხოვს პროვინციის ხელის მომწერთ, რათა მიიღონ ცნობისათვის, რომ ექსპედიციას ჰყავს თავ[illegible] აგენტები ყველა ქალაქებში და დაბებში და აგრეთვე დიდ სადგურებზედ, წიგნებ-ჟურნა[illegible] გაზეთების მოვაჭრენი, რომლებიც აღნიშნულია ქვემოდ ამისა სიაში:

1) ქალაქ ქუთაისში წიგნის მაღაზია ტყაბლაძე.
2) ქალაქ ლანჩხუთი . . აგენტი ურუშაძე.
3) ახალსენაკი . . . . . „ ესებუა.
4) აბაშა . . . . . . „ მიქაძე.
5) ხონი . . . . . . „ გალდავაძე.
6) ფოთი . . . . . . „ ქადეიშვილი.
7) თელავი . . . . . „ ჩიტოშვილი.
8) ჭიათურა . . . . . „ თოდრია
9) სადგ. ბათომი . . . „ ნიკოლაიშვილი.
10) ქალაქი გორი . . . „ მაჭავარიანი.
11) „ სამტრედია . „ ახობაძე ან ანდრეევა.
12) ქალაქი ოზურგეთი აგენტი პოლიტ. განყ. გე ბარამი[illegible]
13) ქალაქი სუფსა . აგენტი ტაბიძე.
14) დაბა ჩოხატაური აგენტი ცინცაძე.
15) ქალაქი სიღნაღი „ თევდორაშვილ[illegible]
16) სადგ. ხაშური . „ ფოველი.
17) ქალაქი ბორჯომი „ თაქთაქიშვილი.
18) სადგ. ყვირილა . „ ცხომელიძე.
19) „ შორაპანი „ გველესიანი.
20) სადგ. ხორაგოული „ მუშათა კოოპ[illegible] ტივი.
21) ქალაქი ზუგდიდი „ სამაზრო კომიტ[illegible]

ექსპედიცია განმეორებით სთხოვს ყველა ხელის მომწერთ, ვინაიდან ზემოაღნიშნული პირ[illegible] ვალდებულნი არიან მიაწოდონ ხელის მომწერთ მათ მიერ გამოწერილი გაზეთები თავიანთ ბინებზ[illegible] და დაწესებულებებს ორგანიზაციებში, მოსთხოვონ აგენტებს მიზეზი გაზეთების არმიუღებლობისა, [illegible] ასეთს ექნება ალაგი, რის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ ექსპედიციას ყოველივე გაზეთის დაგვიან[illegible] უშუალოდ შემდეგის მისამართით:

ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 26. ტელეფ. № 5—43.

№ 404 3—1 ბეჭვდითი სიტყვის ექსპედ. გამგე: ა. ჩეჩელაშვილი.

ტირაჟი 1800 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ სამმართველოს მიერ № 823 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქუჩ. № 4.